პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
სამშაბათი
24
ივნისი
№ 147
(16273)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

ხალხის ნდობა

ჩვენს ქვეყანაში საბჭოების არჩევნების საბოლოო შედეგებმა, რაც პრესაში გამოქვეყნდა, საბჭოთა ხალხის უდიდესი ინტერესი და კმაყოფილება გამოიწვია. ეს ბუნებრივიც არის. ამ არჩევნებმა ერთხელ კიდევ თვალნათლივ დაადასტურა სოციალისტური დემოკრატიის ნამდვილი ზეიმი, ჩვენი ხალხის მონოლითურობა, შრომელთა კომუნისტური პარტიის გარშემო მტკიცე დარაზმულობა. მარტო ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა საბჭოებში 2.2 მილიონი დეპუტატი გაგზავნეს, მეტყველებს საბჭოების ნამდვილ ხალხურ, ფართო წარმომადგენლობითს ხასიათს, სოციალისტური დემოკრატიის ჭეშმარიტ დღესასწაულს.

საარჩევნო კამპანია მაღალი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში, პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის და XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ბრძოლის სულისკვეთებით მიმდინარეობდა. საარჩევნო კამპანიაში ერთსულოვანი მონაწილეობით ჩვენმა ხალხმა უდიდესი კმაყოფილება გამოიქვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამო, მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მრავალმხრივი საქმიანობა სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის კიდევ. უფრო გაუჯობესებისათვის. მშვიდობისათვის ბრძოლაში. ჩვენი პარტიის ეს საყაცობრიო მოღვაწეობა მკაფიოდ გამოიხატა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ისტორიულ სიტყვაში. რომელიც მან მოსკოვის ბაუმანის ოლქის ამომრჩევლებთან წარმოთქვა. ამიტომ იყო, რომ ამ სიტყვამ მშრომელთა ახალი პოლიტიკური აქტივობა და მოწონება გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ.

დიდი კმაყოფილების გრძნობას იწვევს არჩევნების შედეგები ჩვენს რესპუბლიკაში. არჩევნების დღე ჭეშმარიტად სახალხო დღესასწაულად გადაიქცა როგორც მოლიანად საქართველოს სსრ, ისე აფხაზეთის, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქალაქებში, სოფლებში, დაბებში. სულ ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებში არჩეულია 49.248 დეპუტატი. მათ შორის პარტიის წევრი და წევრობის კანდიდატი—21.325, უპარტიო — 27.923, მუშა და კოლმეურნე — 33.174, ქალი — 23.703. არჩეულთა მთელი შემადგენლობიდან 14.068 დეპუტატი 30 წლამდე ასაკისაა, ხოლო 28.792 კაცი არ ყოფილა წინა მოწვევის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატი. ეს, რა თქმა უნდა, იმაზე მეტყველებს, რომ საბჭოების მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ახალი ადამიანები, ისინი, ვინც ერთგულად და ენერგიულად ემსახურება ხალხს, აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

იმათ შორის, ვისაც დიდი ნდობა გაუწიეს მშრომელებმა, არიან ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილები, კომუნისტები, კომკავშირელები, უპარტიოები, სოციალისტური შეჯიბრების, ჭარნეობის, ფაბრიკების, საკოლმეურნეო მინდვრების, მეცნიერებისა და კულტურული მშენებლობის მოწინავენი. ჩვენს დეპუტატებს ხალხმა ასეთი დიდი ნდობა რომ გამოუცხადა, მათ წინაშე დგება საპატიო ამოცანები — ორივე შეასრულონ ამომრჩეველთა განაწესებს, მიაღწიონ საბჭოების მუშაობის როლის შემდგომ ამაღლებას, მისი დემოკრატიული პრინციპების განუხრელ განვითარებასა და გაღრმავებას.

უაღრესად საპატიო, საამაყო და საპასუხისმგებლოა იყო დეპუტატი. ხალხის წარგზავნილი გამოხატავს თავისი საარჩევნო ოლქის მოსახლეობის ინტერესებს ხელისუფლების ორგანოებში. იგი არის საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების წარმომადგენელი ადგილზე. ზრუნავს ხალხის საკეთილდღეოდ პარტიის პოლიტიკის თანმიმდევრულად განხორციელებისათვის. განსაკუთრებით დიდია კომუნისტი დეპუტატის პასუხისმგებლობა. მის ენერგიულ მუშაობას უდიდესი მაგალითის ძალა აქვს სხვებისათვის. ამიტომ მეტად საჭიროა, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მაქსიმალური ყურადღებით ეკიდებოდნენ დეპუტატთა შეკითხვებს, წინადადებებს, ყოველნაირად უწყობდნენ ხელს საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებაში.

წინასაარჩევნო კრებებზე მშრომელებმა მრავალი შესანიშნავი წინადადება, მოსაზრება გამოთქვეს საბჭოების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის. და დეპუტატებმა ხალხის ეს აზრები და ფიქრები უნდა აიტაცონ და იზრუნონ მათი ხორცშესხმისათვის. ახლადარჩეულ დეპუტატთა მთელი საქმიანობა, რა თქმა უნდა, წარმართება ჩვენს რესპუბლიკაში პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის ენერგიული ბრძოლის ვითარებაში, რასაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ეწევა. ცხადია, ყოველივე ეს მრავალმნიშვნელოვანსა და მრავალმხრივ ხდის დეპუტატთა მოღვაწეობას. და სწორედ ახლა, ასეთ შემართულ ბრძოლასა და შემოქმედებითს შრომაში. გამოჩნდება კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის იმათი თავდადება. ვინც ერთგულად ემსახურება ხალხს, პარტიას, ჩვენს საერთო საქმეს.

ის ციფრები და ფაქტები, რომლებიც საბჭოების არჩევნების შედეგების ცნობებშია. მეტყველებენ, რომ განვლილი არჩევნები გადაიქცა პარტიისა და ხალხის ჭიდრო ერთიანობის ახალ შოამბეჭდავ დემონსტრაციად. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ასეთი ფაქტი: საქართველოში ხმის მჭონე ამომრჩეველთა 99.99 პროცენტი გამოცხადდა საარჩევნო უბნებში და ხმა მისცა ხალხის კანდიდატებს. ყოველივე ეს მარტლაც მრავალმეტყველია.

საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ ყველაფერი, რასაც პარტია აკეთებს საშინაო პოლიტიკის დარგში, საბოლოო ანგარიშით მიზნად ისახავს მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებას, ყველაფერი, რასაც იგი აკეთებს საგარეო პოლიტიკის დარგში, მიზნად ისახავს ჩვენი სამშობლოსა და მოძმე სოციალისტური სახელმწიფოების მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფას, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას. საბჭოთა ხალხს ეს პოლიტიკა მიაჩნია თავის პოლიტიკად. პარტიის გეგმები თავის გეგმებად. პარტიის საქმე თავის ღვიძლ საქმედ. ამიტომ იყო, ჩვენმა ხალხმა ამ არჩევნებში ასეთი ერთსულოვნება და მტკიცე დარაზულობა რომ გამოავლინა.

ჩვენი ხალხის ეს დიდი ერთსულოვნება და ნდობა მანათობელი შუქურა უნდა გახდეს თვითეული დეპუტატისათვის მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განაღდებისათვის ბრძოლაში რაც უფრო მომწიფებული ხდება ჩვენი სოციალისტური საზოგადოება, მით უფრო იზრდება მოქალაქეთა, შრომითი კოლექტივებისა და ხალხის მასების საზოგადოებრივი აქტივობა. მით უფრო ფართოდ ემბრძოლნენ მშრომელები სახელმწიფოს მართვაში. და სწორედ ამ ფართო მასების სრულუფლებიანი წარმომადგენლები ჩვენი დეპუტატები არიან. რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობით უთუოდ უნდა გაამართლონ ხალხის მსახურის საპატიო წოდება.

არჩევნებმა ერთხელ კიდევ ცხადყო მილიონობით მშრომელთა. მშობლიური ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონთა მაღალი მოქალაქეობრივი აქტივობა. ერთსულოვნად მისცეს რა ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს, მათ უდიდესი ნდობა, სრული მხარდაჭერა გაუწიეს პარტიის ლენინურ ხაზს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობას. ყოველივე ეს მუდმივ ძალასა და ენერგიას მატებს საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში, პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ შრომაში.

გასული არჩევნების შესანიშნავი შედეგები ერთხელ კიდევ ადასტურებს სოციალისტური დემოკრატიის სიმტკიცეს. მის ცხოველმყოფელობას. ხალხის ფართო მასების მონაწილეობას ხელისუფლების ორგანოებში. ყოველივე ეს. რა თქმა უნდა. ახალ მიღწევათა. ახალ გამარჯვებათა საწინდარია. მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით. პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა. ხალხი მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ კომუნიზმის მშენებლობის დიდ გზაზე.

მეგობრული ვიზიტით

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით 23 ივნისს მოსკოვში მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედვარდ გიერეკი.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ე. გიერეკს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სხვა ოფიციალური პირნი.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევისა და ამხ. ე. გიერეკის შეხვედრა

28 ივნისს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. გიერეკის საუბარი, რომელმაც ჩაიარა გულითადობისა და მეგობრობის, სრული ურთიერთგაგებისა და ყველა განხილული საკითხზე ერთიანობის ატმოსფეროში.

მოძმე პარტიათა ხელმძღვანელებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია სკკპ XXV ყრილობისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VII ყრილობისათვის მზადების შესახებ, ორი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ სოციალისტური. კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში სულ უფრო დიდ როლს ასრულებს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველმხრივი ნაყოფიერი თანამშრომლობა.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. გიერეკმა დადებითად შეაფასეს ორი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოების მუშაობა სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მომავალი ხუთწლედის გეგმების კოორდინაციისთვის. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა გაეტარებინოთ იმ ღონისძიებათა შემუშავება და დანერგვა, რომელთა მიზანია წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაფართოება ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგებში.

შეხვედრის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იდგა პოლონელი და საბჭოთა კომუნისტების, ორი ქვეყნის ხალხების ძმური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საკითხები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა განვითარდეს კონტაქტები და მეგობრული ურთიერთობა პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხაზით, გაფართოდეს საწარმოო კოლექტივებისა და სასწავლებლების თანამშრომლობა, გაიზარდოს ტურისტული გაცვლა.

გაიმართა აზრთა საფუძვლიანი გაზიარება მსოფლიო პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებზე. აღინიშნა, რომ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების შეთანხმებულ პოზიციას, რომელსაც მთელი პროგრესული ძალები უჭერენ მხარს, სულ უფრო კარგი ნაყოფი მოაქვს. უკანასკნელ წლების საერთაშორისო ცხოვრების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანია „ცივი ომიდან“ შემობრუნება და სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრება.

ახლა, ხაზგასმით აღინიშნა შეხვედრაზე, საქმე ის არის, რომ თანამიმდევრულად შესრულდეს შეთანხმებანი, რომლებიც ასეთი განვითარების საფუძვლად იქცა, აღიკვეთოს რაციონული ძალისხმევანი, ხელი შეუშალონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესს.

ამ მიზნის მისაღწევად დიდი მნიშვნელობა იქნება ფუნქციონირებისა და თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სრულიად ევროპის თათბირის დამამთავრებელ ეტაპს უმაღლეს დონეზე. სხვა მოლაპარაკებებისა და ინიციატივების წარმატებას, რომელთა მიზანია გამალებული შეიარაღების შეზღუდვა, დაძაბულობის შენელების გაფართოება, მასში შეუქცევადი ხასიათის მინიჭება.

საბჭოთა კავშირი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა კვლავაც თანამიმდევრულად შეასრულებენ თავიანთ მოკიდებულებას და სოციალისტურ სახელმწიფოებთან, მშვიდობისა და პროგრესის მთელ ძალებთან მჭიდროდ შეკავშირებულნი იბრძოლებენ სოციალიზმის საქმისათვის, მსოფლიოში ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, ხალხთა თავისუფლებისათვის.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. გიერეკმა გაბოთქვეს თავიანთი პარტიების მტკიცე გადაწყვეტილება, რომ ყველაფერს ღონეზენენ, რათა იზრდებოდეს და ჰყვაოდეს, პოლონელებისა და საბჭოთა ადამიანების ახალი თაობებისათვის შთაგონების წყარო ხდებოდეს ორი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობა. რომელიც შედეგებადებულია ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ველებზე დაღვრილი სისხლით, გამბრძმედილია ერთობლივ ბრძოლაში სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილების აშენებისათვის.

გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში

28 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით მოსკოვში მეგობრულ ვიზიტად იყო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ედვარდ გიერეკი.

გაიმართა ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ე. გიერეკის შეხვედრა.

საპატიო სტუმრის პატივსაცემად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სადილი გაიმართა. სადილზე ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. გიერეკმა მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

იქვე დღეს ამხ. ე. გიერეკი საშოფერში გაეგზავნა.

აეროპორტში ე. გიერეკს დახვდნენ და გაიცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. პ. კირილენკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. თ. კატუშევმა, სხვა ოფიციალურმა პიროვნებამ.

ოფიციალური ვიზიტით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით 23 ივნისს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდნენ ბულგეთელთა მეფე ბოდუენი და დედოფალი ფაბიოლა.

ბელგიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე, თვითმფრინავთან სასტუმრო სტუმრებს დახვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

ბელგიელთა მეფე ბოდუენთან ერთად მოსკოვში ჩამოვიდნენ ბელგიის პრემიერ-მინისტრი ლ. ტინდემანსი, საგარეო საქმეთა მინისტრი რ. ვან ელსლანდი, სხვა ოფიციალური პირნი.

საფრენ მოედანზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყაზარმა. შესასრულეს ორი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნები.

ნ. ვ. პოდგორნიმ და ბელგიელთა მეფემ ბოდუენმა ჩამოუარეს საბჭოთა მეომრების მწყობს.

საპატიო სტუმრებს გაეფრენოდნენ მიესალმნენ დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენელნი.

აეროდრომიდან საპატიო სტუმრები გაემართნენ ქალაქისაკენ. ქუჩები, სადაც ჩაიარა ავტომანქანების კორტეჟმა მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტით, მორთული იყო ბელგიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, ძისასალმებელი ტრანსპარანტებით. (საკდესი).

საუბარი კრემლში

28 ივნისს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო ესაუბრნენ ბელგიის პრემიერ-მინისტრს ლ. ტინდემანსს და ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრს. რ. ვან ელსლანდს, რომლებიც მოსკოვში „ჩიან ბელგიელთა მეფე ბოდუენის საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტთან დაკავშირებით.

საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირისა და ბელგიის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე. ორივე მხარემ განაცხადა, რომ ამირებენ კვლავაც გაფართოონ ორმხრივი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში, კერძოდ, პოლიტიკურ დარგში.

საერთაშორისო პრობლემათა განხილვისას გამოთქვა საერთო აზრი, რომ ევროპასა და მსოფლიოში მოვლენათა ახლანდელი განვითარება ყველა საჭირო პირობას უქმნის საერთაშორისო ვითარების შემდგომ განმტკიცებას. მხარეებმა განაცხადეს, რომ მზად არიან ყოველნაირად შეუწყონ ხელი დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებას, აგრეთვე გამოთქვეს საერთო სურვილი ყველაფერი იღონონ, რათა მას შეუქცევადი ხასიათი მიეცეს. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დამამთავრებელი ეტაპის მოწყობას უახლოეს ხანში უმაღლეს დონეზე. (საკდესი).

ნ. ვ. პოდგორნისა და მეფე ბოდუენის შეხვედრა

28 ივნისს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი შეხვდა ბელგიელთა მეფე ბოდუენს, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად არის საბჭოთა კავშირში. მეფის ახლდნენ ბელგიის პრემიერ-მინისტრ ლ. ტინდემანსი და ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრს რ. ვან ელსლანდი.

საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, შეეხნენ საბჭოთა კავშირისა და ბელგიის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებს, აგრეთვე ზოგიერთ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემას.

გამოთქვეს რწმენა, რომ საბჭოთა კავშირისა და ბელგიის ორმხრივი ეფექტიანი მეგობრობა და თანამშრომლობა კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ და ევროპის მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის.

(საკდესი).

საპატიო სტუმართა პატივსაცემად

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 23 ივნისს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გაუმართეს ბელგიელთა მეფე ბოდუენსა და დედოფალ ფაბიოლას.

სადილზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნინა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სხვა ოფიციალური პირნი.

სადილზე, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ნ. ვ. პოდგორნინმ და მეფე ბოდუენმა სიტყვები წარმოთქვეს. (საკდესი).

ცხოვრების მხარდამხარ

მართალი მატიანე

ერთი კვირაა მხატვრული სიტყვის დიდი და საქმიანი დღესასწაულია ჩვენს რესპუბლიკაში- „საბჭოთა ლიტერატურის დღეები საქართველოში“ ჭეშმარიტად გადაიქცა ცხოვრებასთან, ხალხთან ლიტერატურის დაახლოების. მშრომელთა ცხოვრებით ჩვენი მწერლობის დაინტერესებისა და მისი უფრო ახლოს გაცნობის საუკეთესო ღონისძიებად.

ყველგან, სადაც კი საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილეები — ცნობილი საბჭოთა, ქართველი და საზღვარგარეთელი მწერლები იყვნენ ამ დღეებში — ქუთაისსა თუ მაიაკოვსკში, ბათუმსა თუ მახარაძეში, ცხაკაიასა თუ ზუგდიდში, ტყიბულსა თუ ქობულეთში, მშრომელებთან შეხვედრების დროს თუ ლიტერატურის საღამოებზე, ყველგან იგრძნობოდა, თუ, ერთი მხრივ, რა-გორ უყვარს და აფასებს ჩვენი ხალხი მწერლობას, რა სასიხარულო და საამაყოა ჩვენი რიგითი მშრომელი ადამიანებისათვის სიტყვის ოსტატთან, შემოქმედ კაცთან შეხვედრა, ხოლო, მეორე მხრივ, რა უშრეტია ის წყარო — ხალხის ცხოვრება, რომელსაც უნდა ეწაფებოდეს ყოველი ნამდვილი შემოქმედი.

დღეს, თბილისში „საბჭოთა ლიტერატურის დღეების“ ბოლო აკორდია — ეს იქნება დიდი ინტერნაციონალური ლიტერატურული სალამო. იგი, ცხადია, ერთხელ კიდევ გამოაჩენს და დაადასტურებს საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურის ცხოველმყოფელობას, რომელიც გაჟღენთილია ხალხის ცხოვრებასთან მხარდამხარ დგომით, როგორც მისი მართალი მატიანე.

სურათზე: საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილეებს გვირგვინი მიაქვთ ლენინის ძეგლთან.

ბ. გოგოხიას ფოტო.

გვირგვინებით შეამკეს

28 ივნისს საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილენი თბილისში დაბრუნდნენ. დაბრუნდნენ და თან ჩამოიტანეს მღელვარე დღეთა, ბედნიერ შეხვედრათა დაუვიწყარი შთაბეჭდილებები.

23 ივნისს საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილეები — საბჭოთა და საზღვარგარეთელი მწერლები მივიდნენ ლენინის მოედანზე, დიდი ბელადის ძეგლთან, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია საბჭოთაის ყველა ხალხის სოციალისტური კულტურის აყვავება და გვირგვინთ შეამკეს ლენინის ძეგლი. წითელ ლენტზე ოქროს ასოებით წერია: „დიდ ლენინს — საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილეებისაგან“.

ამავე დღეს საბჭოთა და საზღვარგარეთელმა სტუმრებმა გვირგვინი შეამკეს შოთა რუსთაველის ძეგლი.

საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილენი მივიდნენ ვაკის „გამარჯვების ბარეში, გვირგვინი მიტანეს უცნობი ჯარისკაცის საფლავზე და წუთიერი დუმილით პატივი სცეს საბჭოთა ჯარისკაცის ხსოვნას.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲗᲐᲕᲘ ᲘᲡᲐᲮᲔᲚᲔᲡ

ᲙᲣᲠᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲙᲐᲕᲘ

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ რაიონის ქარდანახის საბჭოთა მეურნეობაში კომბაინერმა ᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲛᲐ ერთ დღეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი აიღო 14 ჰექტარზე, საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 24 ცენტნერი მარცვალი.

ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘᲡ რაიონის ბოდისხევის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომბაინერმა ᲖᲣᲠᲐᲑ ᲛᲔᲛᲐᲣᲠᲗᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲛᲐ აიღო 7 ჰექტარი პურეულის მოსავალი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 22 ცენტნერი მარცვალი. ტბიანის კოლმეურნეობიდან მექანიზატორმა ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲮᲣᲪᲣᲠᲐᲣᲚᲛᲐ — საშუალოდ აიღო 6 ჰექტარი და ჰექტარზე გალეწა 18 ცენტნერი მარცვალი.

ᲡᲙᲙᲞ XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ᲩᲕᲔᲜ ᲕᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲗ

თბილისის საშენ მასალათა კომბინატი მთავარ ყურადღებას აქცევს შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზით პროდუქციის გამოშვების გადიდებას, რენტაბელობის განმტკიცებას.

განვლილ ხუთ თვეში საერთო პროდუქციის გამოშვება 107,5 პროცენტით შეასრულეს, პროდუქციის რეალიზაციის დავალებას 6,5 პროცენტით გადაკაჭარეს. გეგმის გადამეტებით 48 ათასი მანეთის პროდუქცია გამოგუშვეთ, წლიური ვალდებულება კი 150 ათას მანეთს ითვალისწინებს.

კომბინატის კოლექტივი ჩაება პარტიის XXV ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, გადახდა თავის პირვანდელ ვალდებულებებს, გაითვალისწინა ყველა არსებული შესაძლებლობა და დამატებით კვლავ იკისრა 50 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვება.

მ. ᲫᲐᲯᲘᲐᲘᲐ,
თბილისის საშენ მასალათა კომბინატის დირექტორის მოადგილე.

ᲨᲔᲘᲭᲐᲠᲗᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ

ᲒᲝᲠᲘ. (საკ. კორ. რ. ბასილაშვილი). ბამბეულის კომბინატში ნაყოფიერად შრომობს № 2 საქსოვი ფაბრიკის ქეთოლტაბის ა. ბულგაკოვის ბრიგადა (წევრები ე. ქურდაძე, მ. ისაიევა, ნ. მეგელიშვილი, ს. სუმბაძე და თ. გოლაძე). ხელმარჯვე ფეიერობმა მეცხრე ხუთწლედის დავალებები 26 აპრილისათვის განაღდეს და ახლა მომავალი წლის ანგარიშში შრომობენ.

ა. ბულგაკოვის ბრიგადის წევრები კომბინატში პირველნი გამოიხმაურნენ ურალელთა და ხარკოველთა თაოსნობას, მხარი დაუჭირეს მათს ინიციატივას, ერთსულოვნად ჩაებნენ სკკპ XXV ყრილობის სახელობის ბრიგადის სპატიო წოდების მოპოვებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ბრიგადის წევრებმა სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად ახალი ვალდებულებები იკისრეს — ისინი მეცხრე ხუთწლედის ბოლოსათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ 1.370 ათას მეტრ ხარისხოვან ხამ ქსოვილს და 1976 წლის ორი თვის დავალებას 20 თებერვლისათვის გაანაღდებენ.

ბრიგადის თაოსნობა მოწონებულია.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲗᲐᲕᲘ ᲘᲡᲐᲮᲔᲚᲔᲡ

ᲙᲣᲠᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲙᲐᲕᲘ

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ რაიონის ქარდანახის საბჭოთა მეურნეობაში კომბაინერმა ᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲛᲐ ერთ დღეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი აიღო 14 ჰექტარზე, საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 24 ცენტნერი მარცვალი.

ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘᲡ რაიონის ბოდისხევის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომბაინერმა ᲖᲣᲠᲐᲑ ᲛᲔᲛᲐᲣᲠᲗᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲛᲐ აიღო 7 ჰექტარი პურეულის მოსავალი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 22 ცენტნერი მარცვალი. ტბიანის კოლმეურნეობიდან მექანიზატორმა ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲮᲣᲪᲣᲠᲐᲣᲚᲛᲐ — საშუალოდ აიღო 6 ჰექტარი და ჰექტარზე გალეწა 18 ცენტნერი მარცვალი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲒᲝᲑᲠᲝᲜᲘᲫᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲘᲜᲐᲡᲢᲘᲐ

ᲝᲠᲛᲝᲪᲘ წლის წინათ მოვიდა ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ვლადიმერ გობრონიძე. იგი თანდათან ეუფლებოდა ნავთობპროდუქტების დამზადების „საიდუმლოებას“. იხვეწებოდა კადრის მენავთობის ოსტატობა. იზრდებოდა მშობლიური საწარმო. ახლა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა ერთ-ერთი უდიდესი საწარმოა საქართველოში. მის პროდუქციაზე მარტო ჩვენს ქვეყანაში კი არა, საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაშიც დიდი მოთხოვნაა. ამიტომაც არის, რომ აქ დღითიდღე ზრდიან პროდუქციის გამოშვებას. მენავთობეებმა ხუთი თვის პროდუქციის რეალიზაციის დავალება 103 პროცენტით შეასრულეს, ხოლო ხერთო პროდუქციის გამოშვებისა — 104 პროცენტით.

ახლახან ქარხანაში საინიციატიოლო ცნობა მოვიდა — ერთ-ერთი სახეობის პროდუქციას — საგზაო ნავთობბითუმს სახელმწიფო

პოლიტიკური სიტყვის გამოძახილი

ასე ვსწავლობდით, ასე ვისწავლით!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკურ-პროპაგანდისტული მუშაობის ამოცანები ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის 1975 წლის 13 ივნისის წინასაარჩევნო სიტყვასთან დაკავშირებით“. პირველად პარტიულ ორგანიზაციებს რეკომენდაცია ეძლევათ დრმა ახსნა-განმარტებითი მუშაობისათვის ფართოდ გამოიყენონ ლექტორები და პოლიტიკური მომხსენებლები, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისათვის და პოლიტინფორმატორთა ჯგუფისათვის მოაწყონ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის საფუძველზე შესწავლისა და ფართო პროპაგანდისადმი მიძღვნილი თათბირ-სემინარები, თეორიული კონფერენციები.

ლ. ი. ბრეჟნევმა თავის საპროგრამო სიტყვაში აღნიშნა, რომ „საბოლოო ანგარიშით ყველა მიმართულებით ჩვენი წინსვლის გადამწყვეტი წინამძღვარია სწორედ მშრომელთა იდეური რწმენის, პოლიტიკური შეგნების ზრდა.

იყო იდეური — ნიშნავს მიგაჩნდეს შენი შრომა დიადი საერთო საქმის — კომუნიზმის მშენებლობის ნაწილად, შეგნებული გქონდეს და გრძნობდე, „როგორ ერთვის შენი შრომა რუსეთის შრომას“, როგორც პოეტმა თქვა.

ეს ნიშნავს არ ურიგდებოდე ეგოიზმსა და უძრაობას, მოდუნებას და დოყლაპობას, ობივატელურ გულგრილობასა და წამგლეჯობას.

ეს ნიშნავს მოითხოვდე საკუთარი თავისა და სხვებისაგან შრომის დისციპლინის უმკაცრესად დაცვას, ხალისით, ინიციატივიანად, მთელი ძალღონით მუშაობას.

ეს ნიშნავს მხურვალედ გიყვარდეს შენი დიადი სოციალისტური სამშობლო და გწამდეს, რომ ჩვენი წარმატებები — ეს არის წვლილი მტკიცე მშვიდობისათვის, თავისუფლებისათვის, სოციალიზმისათვის ყველა ხალხის ბრძოლის საერთო საქმეში.

ხხვანაირად რომ ვთქვათ... იყო იდეური — ნიშნავს იყო აქტიური და შეგნებული მებრძოლი კომუნიზმისათვის, მისი დიადი იდეალების გამარჯვებისათვის“.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ეხმაურებიან ცხაკაიას რაიონის იდეოლოგიური დარგის მუშაკებს, რომელთა მუშაობის შესახებ „კომუნისტში“ უკვე დაბეჭდა სათანადო მასალები.

მშრომელთა იდეური რწმენისა და პოლიტიკური შეგნების ამაღლებაში დიდ როლს ასრულებს პოლიტიკური და ეკონომიური განათლების სისტემა. დღეს ვბეჭდავთ მასალებს იმის შესახებ, თუ როგორ სწავლობდნენ და როგორ აპირებენ ისწავლონ პოლიტიკური და ეკონომიური განათლების ქსელში მომავალი სასწავლო წელს.

ვიძიენთ ეკონომიურ ცოდნას

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში ამ სამი წლის წინათ შეიქმნა მშრომელთა ეკონომიური განათლების საზოგადოებრივი ბიუროებისა და ეკონომიკურ ბიურო, რომელიც ნაყოფიერად მუშაობს.

გაერთიანების მშრომელთა ეკონომიური სწავლების პერსპექტიული გეგმის შესაბამისად სასწავლო წელს სწავლების ყველა ფორმაში ეკონომიურ განათლებას ღებულობდა 1.400-მდე მშრომელი, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ 52 ეკონომიურ სკოლასა და სემინარში. საერთო რაოდენობიდან ეკონომიური ცოდნის საფუძვლებს სწავლობდა 48 სკოლა 1.300-მდე მსმენელით, ხოლო წარმოების ეკონომიკისა და მართვის საფუძვლებს — 4 ჯგუფი 100-ზე მეტი მსმენელით.

კარგად ორგანიზებულმა მშრომელთა ეკონომიურმა სწავლებამ განაპირობა ის წარმატებები, რომლებიც მოპოვებულია მეეხრე ხუთწლედის განვლილ პერიოდში გეგმების, შემსვეფრი გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში.

გაერთიანების მშრომელთა ეკონომიურმა სწავლებამ ხელი შეუწყო სოციალისტური შეჯიბრების გაწევას, მისი ძირითადი პრინციპების ხელმძღვანელობის, შედეგების შესადარისობის და მოწინავეთა გამოცდილების გავრცელების შესაძლებლობის უნარით გამოყენებას. ეს თვალსაზრისი დადებითია შემაჯამებელ მეცნიერულ-ტექნიკურ ანგარიშებზე, რომელშიც ორგანიზებულად ჩაიარა.

გაერთიანების შრომითი კოლექტივი არ იტოვებს ნაკლოვანებებსაც, რაც გაერთიანებას აქვს როგორც საწარმოო საქმიანობაში, ისე ეკონომიური სწავლების ორგანიზაციაში. კერძოდ, ის რომ ყველა ჯგუფის დაგეგმაშელექტება არ ხერხდება ერთნაირი განათლებისა და პროფესიის მქონე მსმენელებით, ყველა პროპაგანდისტი მაღალ დონეზე ვერ ატარებს მეცადინეობას, ეკონომიურ სწავლებასა და პრაქტიკულ საქმიანობას შორის ყოველთვის არ არის მჭიდრო კავშირი.

გაერთიანების შრომითი კოლექტივის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ის, რომ მეცხრე ხუთწლიანი გეგმა ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით შესახრულოს ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის და წლის ბოლოსათვის გეგმის გადაჭარბებით მოახდინოს 9 მილიონ მანეთისაზე მეტი ღირებულების პროდუქციის რეალიზაცია.

ამ პატრიოტულ საქმეში დიდ როლს ასრულებენ ეკონომიური სწავლების სკოლებისა. და სემინარების პროპაგანდისტები, მსმენელები, რომლებიც უნარიანად იყენებენ ცოდნას პრაქტიკაში.

მომავალ სასწავლო წელს უფრო ბეჯითად გაგიგრძელებთ ეკონომიური საფუძვლების შესწავლას, ავამაღლებთ მსმენელთა პოლიტიკურ რწმენას.

ს. კობახიძე,
თბილისის აბრეშუმის ხაწარმოს გაერთიანების დირექტორის მოადგილე, მთავარი ეკონომისტი, მშრომელთა ეკონომიური განათლების საზოგადოებრივი საკოორდინაციო ბიუროს თავმჯდომარე.

...ცხოვრებაში ვიყენებთ

კადრების თეორიული სწავლება მუდამ იყო და არის პარტიის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი. ამ საპატიო საქმეში მცირედი წვლილი მეც შემაქვს. უკვე თექვსმეტი წელია პროპაგანდისტად ვმუშაობს ვიმუშავე. მეოთხე წელია ახალგაზრდა რუსთავის ცემენტის ქარხნის პარტორგანიზაციასთან შექმნილ ეკონომიური ცოდნის საფუძვლების შემსწავლელ პოლიტსკოლას. მასში 19 კაცია გაერთიანებული.

გამოწვეს საამქროს მემანქანეებმა ა. ისაშვილმა და ა. ზანგალაძემ ერთ-ერთ მეცადინეობაზე მსჯელობის საგნად აქციეს ხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების საკითხი, შემოტანეს პრაქტიკული წინადადებები, რომელთა განხორციელების შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, საამქროში ლაკვიდირებულია წუნდებული პროდუქციის გამოშვება.

ნედლეული საამქროს უფროსმა ტ. ნაკაშიძემ მეცადინეობაზე საკითხი წამოაყენა საამქროში ხარისხოვანი შლამის გამოშვების გზების შესახებ. ამის შემდეგ მიეღეთ ზომები. საამქროში მდგომარეობა გამოსწორდა, აღარ არის ლუხარისხო შლამის გამოშვების შემთხვევები.

დაფქვის საამქროს ბრიგადირმა ა. გუმბერიძემ წამოაყენა საამქროს კეთილმოწყობისა და ცემენტის ხარისხის გაუმჯობესების საკითხი. მექანიზაციის უბნის ბრიგადირმა რ. ფანჯიკიძემ წამოაწია უბნის ტერიტორიისა და ამბანოს კეთილმოწყობის საკითხი და საკუთარი ძალებით თითქმის აეკლაფერი გაკეთდა.

მეცადინეობაზე მიღებულ ცოდნას პოლიტსკოლის მსმენელები წარმოების პროცესში იყენებენ. სიბეჯითით, მომზადების მაღალი დონით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მსმენელები, ქ. ბეჭაური, ა. ზანგალაძე, გ. ღონღაძე, რ. ფანჯიკიძე, ც. ცერცვაძე, ვ. ღვინჯილია და სხვები. შემაჯამებელმა მეცადინეობამ მაღალ დონეზე ჩაიარა. ახლა ჩვენ ყველანი ვემზადებით იმისათვის, რომ ორგანიზებულად შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს.

რ. კავთელაძე,
რუსთავის ცემენტის ქარხნის საამართველოს პარტბიუროს მდივანი, ეკონომიური ცოდნის საფუძვლების შემსწავლელი პოლიტსკოლის პროპაგანდისტი.

ჯილდოები ნაყოფიერი შრომისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტის, მშენებლობების მოწინავენი, ავიატორები, სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკები, რათა მიეღოთ მთავრობის ჯილდოები, რომლებიც მინიჭებით მაღალი შრომითი მოწვევებისათვის და ერთ საწარმოსა თუ ორგანიზაციაში მრავალი წლის უზადო მუშაობისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაჭაძემ წაიკითხა ბრძანებულებები დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ჟოღენაძემ ხალხთა მეგობრობის ორდენი გადასცა „კავკასელექტროკავშირის“ ტრესტის № 8 მექანიზებული რაზმის უფროსს გ. ა. ქობულიშვილს.

მოწინავეთა დიდ ჯგუფს გადასცეს მესამე ხარისხის შრომითი დიდების ორდენები.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე თ. ნ. გორგაძე, თბილისის დამიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატი ტ. ვ. როსტაბიშვილი, „კავკასელექტროკავშირის“ ტრესტის № 8 მექანიზებული რაზმის უფროსი გ. ა. ქობულიშვილი, თბილისის ავეჯის კომბინატის „განთიადის“ მომპირკეთებელი ა. ვ. უხარსკაია, რომლებმაც მხურვალე მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას მათი შრომის დიდად დაფასებისათვის.

ვ. ს. ჟოღენაძემ გულითადად მიულოცა დაჯილდოებულთ, უსურვა მათ ჯანმრთელობა, ახალი დიდი წარმატებები შრომასა და პირად ცხოვრებაში.

(საქინფორმი).

...ცხოვრებაში ვიყენებთ

კადრების თეორიული სწავლება მუდამ იყო და არის პარტიის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი. ამ საპატიო საქმეში მცირედი წვლილი მეც შემაქვს. უკვე თექვსმეტი წელია პროპაგანდისტად ვმუშაობს ვიმუშავ. მეოთხე წელია ახალგაზრდა რუსთავის ცემენტის ქარხნის პარტორგანიზაციასთან შექმნილ ეკონომიური ცოდნის საფუძვლების შემსწავლელ პოლიტსკოლას. მასში 19 კაცია გაერთიანებული.

გამოწვეს საამქროს მემანქანეებმა ა. ისაშვილმა და ა. ზანგალაძემ ერთ-ერთ მეცადინეობაზე მსჯელობის საგნად აქციეს ხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების საკითხი, შემოტანეს პრაქტიკული წინადადებები, რომელთა განხორციელების შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, საამქროში ლაკვიდირებულია წუნდებული პროდუქციის გამოშვება.

ნედლეული საამქროს უფროსმა ტ. ნაკაშიძემ მეცადინეობაზე საკითხი წამოაყენა საამქროში ხარისხოვანი შლამის გამოშვების გზების შესახებ. ამის შემდეგ მიეღეთ ზომები. საამქროში მდგომარეობა გამოსწორდა, აღარ არის ლუხარისხო შლამის გამოშვების შემთხვევები.

დაფქვის საამქროს ბრიგადირმა ა. გუმბერიძემ წამოაყენა საამქროს კეთილმოწყობისა და ცემენტის ხარისხის გაუმჯობესების საკითხი. მექანიზაციის უბნის ბრიგადირმა რ. ფანჯიკიძემ წამოიწია უბნის ტერიტორიისა და ამბანოს კეთილმოწყობის საკითხი და საკუთარი ძალებით თითქმის აეკლაფერი გაკეთდა.

მეცადინეობაზე მიღებულ ცოდნას პოლიტსკოლის მსმენელები წარმოების პროცესში იყენებენ. სიბეჯითით, მომზადების მაღალი დონით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მსმენელები, ქ. ბეჭაური, ა. ზანგალაძე, გ. ღონღაძე, რ. ფანჯიკიძე, ც. ცერცვაძე, ვ. ღვინჯილია და სხვები. შემაჯამებელმა მეცადინეობამ მაღალ დონეზე ჩაიარა. ახლა ჩვენ ყველანი ვემზადებით იმისათვის, რომ ორგანიზებულად შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს.

რ. კავთელაძე,
რუსთავის ცემენტის ქარხნის საამართველოს პარტბიუროს მდივანი, ეკონომიური ცოდნის საფუძვლების შემსწავლელი პოლიტსკოლის პროპაგანდისტი.

...ცხოვრებაში ვიყენებთ

ამ ბოლო ხანებში ეკონომიკურ ბიუროებმა ჩვენ ქალაქში ბევრი ინიციატივა ამოქმედეს. ეს ინიციატივა ეხება ეკონომიკურ ცოდნის ფართოდ გავრცელებას, ეკონომიკურ ცოდნის ფართოდ ინერგვას ყველა ადამიანის ცხოვრებაში.

ეს ინიციატივა ეხება

ცხოვრების მხარდამჭერ

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ახალი წარმატებებისათვის!

საბჭოთა ლიტერატურის დღეებმა დასავლეთ საქართველოდან თბილისში გადმოინაცვლა, გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ზ. რცხილაძე შეხვდა ცნობილ საბჭოთა მწერალს, სოციალისტური შრომის გმირს, სახელმწიფო პრემიების ლაურეატ კონსტანტინე სიმონოვს, რამდენიმე კითხვით მიმართა და ჩაიწერა მისი საუბარი, რომელსაც ქვემოთ კითხულობთ.

ეს წუთია თბილისში ჩამოვედი, — თქვა კონსტანტინე სიმონოვმა, — და ჯერ არ გამნელებია ის შთაბეჭდილებები, რომლებიც დასავლეთ საქართველოდან მომყვება, უნდა აღვნიშნო, რომ საბჭოთა ლიტერატურის დღეები ტრადიციად იქცა და წლიდან წლამდე მისი ორგანიზაციამწყობაც ახალ-ახალ ფორმებს იძენს. ეს სასიამოვნოა, სასიამოვნოა იმდენად, რამდენადაც სასარგებლოა მწერლებისთვისაც და მშრომელთათვისაც ანუ ჩვენი მომავალი წიგნების გმირებისთვის. მათთან საახლოვე შემოქმედებაში სინამდვილად იქცევა, ჩვენს სიტყვას, წიგნს, კალამს დაანახოებს ცხოვრებასთან, სიმართლესთან, რომელსაც მკითხველი ყველაზე მეტად ეძებს და თუ ჰპოვა, არასდროს დაივიწყებს. სიმართლე... საერთოდ ეს ცნება ლიტერატურის დაუშრეტელი წყაროა, სიმართლე ამოძრავებს ცხოვრებას და იქ, სადაც არ არის სიმართლე, წინსვლაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ლიტერატურა ცხოვრების სარკეა და იგივე შეიძლება ითქვას მასზე. წიგნში თუ სიმართლე არ არის, ის ძნელად რომ წიგნად იწოდებოდეს. მაგრამ დავუბრუნდეთ საბჭოთა ლიტერატურის დღეებს, რომელიც დასავლეთ საქართველოში დაიწყო და თბილისში აქვს საბოლოო, დასკვნითი აკორდი.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

ჩვენს მომავალ გმირებთან

კონსტანტინე სიმონოვი,

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი

□

მწერლისა და მშრომელი კაცის შეხვედრა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა. მართალია, შემოქმედისთვის ძნელია სახელდახელო შეხვედრის შედეგად ჩაიხედოს იმ რთულ სამყაროში, რომელსაც კაცის სული ჰქვია, მაგრამ შეძლებისდაგვარად მან ეს უნდა შეძლოს, რათა მრწამსი ახალი ადამიანისა, მისი ფიქრი და აზრი საფუძვლად დაუდოს სიტყვას, წიგნს, ლექსს, რომანს.

საქართველოში ჩამოსულ მწერლებს კარგი იღბალი გვეწვია. ჩვენ ერთხელ კიდევ შევიგრძნეთ ქართული სტუმართმოყვარეობის მადლი, შეხვედრების სითბო და გულითადი მეგობრობა. მწერალთა მუშაობის განრიგი კარგად იყო შედგენილი, რამაც მაქსიმალურად დაგვაახლოვა შრომის პროცესს, მეჩაიეთა ურთულეს საქმეს და საშუალება მოგვცა შეავეგრძნო ის გმირობა, რომელიც მეჩაიეთა წილხვედრია. ამასთან ერთად მინდოდა გამომეძახა ერთი შენიშვნაც, რომელიც აქ ყოფნისას დამებადა. ჩემი აზრით, შეხვედრები ცოტა ზედმეტად საზეიმოა, ჯგუფები მრავალრიცხოვანია და ამიტომ გულახდილ საუბრისთვის უფრო ნაკლები დრო გვრჩება, უფრო მეტ სარგებლობას მოიტანდა, ვთქვათ, ჯგუფში გაერთიანებული რომ ყოფილიყვნენ ერთი მწერალი ან პოეტი, კრიტიკოსი, ადგილობრივი ლიტერატურის წარმომადგენელი. კარგი სიახლე შემოგვთავაზეს ქუთაისში, სადაც მრგვალ მაგიდასთან მოგვიწვიეს და საუბრის სადისკუსიო ფორმამ მრავალი ახალი საკრებრორტო საკითხი თუ პრობლემა წარმოშვა, რომლებიც სხვაგან შეიძლება ქებადიდების ჰანგებს დაეფარა.

ლიტერატურის დღეებს საქართველოში კარგად დაუკავშირდა მაიაკოვსკის დღეები. მაიაკოვსკის სამშობლო ბაღდადში მუდამ ამაღელვებელია შეხვედრები და წლეულსაც ასე იყო. რაიონის ცენტრის მშრომელები სათუთად ინახავენ რევოლუციური ტრიბუნის დიად სახელს და ეს კიდევ ერთხელ ნათლად მოწმობს ქართველი კაცის ინტერნაციონალურ ბუნებას. აქ სასახელო შრომითს საქმიანობასთან ერთად უყვართ ლექსი, უყვართ წრფელი სიყვარულით.

შრომელებთან შეხვედრებისას მასპინძელთა საქმიანობაზე მქონდა, ლაპარაკი. ბევრი საგულისხმო და ჩემთვის ახალი ითქვა. მასპინძლებს კი, რა თქმა უნდა, უფრო ჩემი ლიტერატურული ფიქრები აინტერესებდათ. სიამოვნებითაც ვუზიარებდი.

კითხის თავდაყირა დაყენება. მაგრამ შეხამება ამ ორი მცნებისა — აი მწერლის სატკივარი. სად მთავრდება საერთო და სად იწყება პირადული? ომი, ამ საკითხებს უფრო მწვავედ აყენებს და ეს თემა ამიტომაც მომჩნია ადღეისოდ, საჭირბოროტოდ, მრავლისმთქმელად და საგულისყუროდ.

საგულისყუროა კაცის რაობაცაბა გავიხსენოთ რამდენჯერ გვითქვამს ვინმეზე, კარგი კაციაო, მაგრამ ჩიუკვრდები და ხედავ, რომ მთლად ასე არ არის. ამ მხრივ მე თვითე მაქვს კითხვა სოციოლოგებთან — ხომ არ დადგა დრო ერთი დამახასიათებელი საანკეტო პუნქტის ორსებობისა, პუნქტისა, რომელსაც შეიძლება „წესიერება“ ვუწოდოთ. იმაზე მოგახსენებთ, რომელსაც კრიმინალთან არა აქვს კავშირი, მაგრამ მაინც უკავშირდება კაცის უმწიკლოებას, თავისივე სინდისს წინაშე ანგარიშგებას.

ხშირად ამბობენ, რომ საბჭოთა ლიტერატურის დადებითი გმირი შეცდომებისაგან დაზღვეულია და ამიტომ მკითხველი ამ ბოლო ხანს მას ცოტა უნდობლად ეკიდება. რა დასამალავია, იყო დრო, როცა დადებითი გმირის სახე იმდენად გამანდაკებული იყო, რომ მას მართალი მიწიერად ვერ ჩათვლიდი. მეორე მხრივ მის იდეალიზაციას საფუძველი აქვს. ეს საფუძველი ჩვენი ცხოვრება და თვით მწერლის სიყვარულია. მწერალს იგი უყვარს და საკითხავია, ვინ უნდა გიყვარდეს თუ არა კარგი, ლამაზი, ჰკვიანი და გულმართალი? თუმცა მაინც უნდა დავძინო, რომ დღევანდელი დადებითი გმირები უკვე ის ადამიანები არიან, რომლებიც ცდებიან კიდეც, მაგრამ ეს შეცდომები მათ ეხმარებათ სიმართლისა და ჭეშმარიტების დადგენაში.

შეცდომას ხშირად ჩრდილს აფარებენ. და რადგან ქვეყანაზე არსებობს შუქიც და ჩრდილიც, ამიტომ ლიტერატურა, რომელსაც ცხოვრების სარკეს უწოდებენ. უნდა შუქჩრდილებსაც ასახავდეს. ერთხელ მითხრეს, ასეთი დიდი ომი მოვიგეთ და თქვენ კი რომანში მხდალიცა გყავთ გამოყვანილიო. კეთილი. ვთქვათ მხოლოდ გმირებზე ვწერეთ. ამით განა მხდალები გამოიცლებიან? განა არ დადგა დრო მანკიერებაზე ისევე მწველად ვწეროთ, როგორც ვკამათობთ ხოლმე? ამ მხრივ სიამოვნებით მინდა აღვნიშნო ნ. დუმბაძის რომანი „თეთრი ბაირაღები“, გ. ფანჯიკიძის ორი რომანი „მეშვიდე ცა“, „თვალი პატიოსანი“. განა ეს დროულად და მწვავედ ნათქვამი მართალი სიტყვები არ არის? ამ ნაწარმოებებში ისახა სწორედ ის მანკიერი მხარეები, რომლებმაც ყველა პატიოსანი კაცი აღელვა. ვინ უნდა დამდგარიყო პატიოსნების სადარაჯოზე, თუ არა მწერალი. ეს ხმალშემართული სიტყვა სწორედ დროული პასუხი იყო მათთვის, ვინც ჩვენს საზოგადოებაში უცხო ზნისა და მოუღებელი ნორმების დანერგვა სცადა. რატომ გაიმარჯვა ამ რომანებმა? რატომ აიტაცა იგი ხალხმ? სწორედ ამიტომ, რომ ისინი გამოხატავენ უმრავლესობის ფიქრსა და განცდას, უმრავლესობის მისწრაფებას პატიოსნებისაკენ, სიმართლისაკენ.

ამ ბოლო ხანს მოზღვავდა მეუმარული ლიტერატურა, მეტადრე კი — ფრონტული. სწერენ სარდლები, ოფიცრები, ომის მონაწილენი. უნდა ვთქვა, ბევრნი თავისებურად აშუქებენ ომის მსვლელობას. მაგრამ ალბათ მეუმარულ ლიტერატურას იმიტომაც ჰქვია მემუარული, რომ მასში ბევრია პიროდული...

საბჭოთა ლიტერატურის დღეები საქართველოში მთავრდება. მან ბევრი მასალა მოგვცა მსჯელობისათვის, ფიქრისათვის. გავა ხანი და მშრომელებთან შეხვედრების კეთილი მარცვალი მხატვრული სიტყვის ოსტატთა ხელში იმ საინტერესო ნაყოფად იქცევა, რომელსაც მკითხველი ასე გულისყურით ელის.

სულითა და გულით

საქართველოს მშრომელები ყველგან დიდი სიყვარულით ხვდებოდნენ „საბჭოთა ლიტერატურის დღეების“ მონაწილეებს

ბათუმი, 23 ივნისი. (საქინფორმის კორ.). აჭარაში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღესასწაული. ქალაქიდან მან რაიონებში გადაინაცვლა. ამ დღესასწაულის მონაწილეთა ერთი ჯგუფი — საბჭოთა და საზღვარგარეთელი მწერლები — ქობულეთის ზონის კურორტთა ჯანმრთელობის კერების დათვალიერების შემდეგ ეწვია სოფელ ბობოყვათის მოწინავე კოლმეურნეობას. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ლალიძემ საპატიო სტუმრებს გააცნო ამ მეურნეობის ეკონომიკა. ჩრდილოელი ნასნი ხალხის წარმომადგენელმა პოეტმა იუვან შოსტალოვმა, რომელმაც პირველად აქ ნახა, თუ როგორ იზრდება ჩაი, ჯერ კიდევ სიყმაწვილის წლებში დაწერა „პიმნი ჩაის“, ახლა კი წაუკითხა იგი ჩაის პლანტაციების მშრომელებს.

საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილეთა მეორე ჯგუფი ეწვია ხელვაჩაურის რაიონის სასაზღვრო სოფლების კოლმეურნეობებს, დაათვალიერა გონიოს ძველი ციხე-ქალაქი.

ბულგარელი და კუბელი მწერლები იყვნენ ბათუმის გემთსაშენებელ ქარხანაში. ქარხნის დირექტორმა ვ. რუხაძემ მათ უთხრა, რომ ბათუმის სასეირნო კატერდები ახლა საზღვარგარეთის 50 სახელმწიფოს წყლებს სერავენ.

საღამოს ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გიმართა ახალგაზრდობის შეხვედრა საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილე მწერლებთან.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ დარბაზობა გაუმართეს საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილეებს.

ქუთაისი, 23 ივნისი. („კომუნისტის“ საკ. კორ. დ. გედენიძე). ქუთაისის მშრომელები, ახალგაზრდობა, ინტელიგენცია ყველგან სიყვარულითა და პატივისცემით ხვდებოდნენ სტუმრებს.

სტუმრები, რომელთა შორის იყო ცნობილი საბჭოთა მწერალი, სოციალისტური შრომის გმირი კონსტანტინე სიმონოვი, ტყიბულის რაიონის სოფელ ორპირში მეჩაიეებს ეწვივნენ, ჩაის ფაბრიკაში მონაწილეობა მიიღეს ჩაის დეგუსტაციაში.

ტყიბულში მწერლები მეშახტეებს შეხვდნენ. შემდეგ საქნახშირის კომბინატის დირექტორი ვ. ღვინჯილია ესაუბრა სტუმრებს ქვანახშირის ამოღების პროცესებზე, მეშახტეთა შრომაზე.

სტუმრებმა მოინახულეს ნიკორწმინდა და ცხრაჯვარი. მეშახტეთა კულტურის სახლში გაიმართა ლიტერატურული საღამო. მწერლები მასპინძლებს წარუდგინა კრიტიკოსმა ბ. ჟღენტმა, საღამოზე გამოვიდნენ გ. სიმონოვი, ა. ბარტო, ვ. ბოკოვი, ს. დავიდოვი, ი. შტოკი, მონგოლი პოეტი მ. ბაასტი, გ. ფანჯიკიძე, დ. გვიცარიძე, ზ. ქვლივიძე, საკუთარი ლექსი წაიკითხა მეშახტე შ. ქარქაშაძემ.

კვირას, 22 ივნისს გელათში გაიმართა სახალხო აკადემიის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა თემას „სიტყვა რევოლუციურ პოეზიაზე“. მოხსენებით გამოვიდა ბ. ჟღენტი.

ამავე დღეს სტუმართა ერთი ჯგუფი ქუთაისის წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტს ეწვია, ხოლო მეორე ჯგუფმა ვანში და ფოთში ინტერესით დათვალიერა უძველესი სამარხები, ანტიკური ქალაქის ნანგრევები. სტუმრები იყვნენ სოფელ ჭყვიმში, დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში.

ბახარაძე, 23 ივნისი. (საქინფორმის სპეც. კორ. მ. გაბრიაძე). სტუმრებმა ინტერესით დათვალიერეს ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, მისი ექსპერიმენტული მეურნეობა და მუზეუმი. ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ ინსტიტუტის დირექტორი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ვ. ჯაფელი და დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ცანავა.

მწერლები დიდი ინტერესით გაეცნენ ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის, ნარუჯის საბჭოთა მეურნეობის მუშაობას, იყვნენ ჩაის პლანტაციებში.

...სოფელ შემოქმედში მწერლები მიიღო კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლ. მახარაძემ. ასწლოვანი მუხის ჩრდილში შეიკრიბნენ კოლმეურნეები, რომ გულდიად ესაუბრათ მწერლებთან. თვითმოქმედ მსახიობთა მესრულებით თითქოს გაცოცხლდნენ ნ. დუმბაძის ცნობილი რომანის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ გმირები. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო თეატრში შეიკრიბნენ რაიონის მშრომელები, რათა მისალმებოდნენ მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენლებს.

საღამოზე გამოვიდნენ ცნობილი საბჭოთა პოეტები ვ. დოლმატოვსკი, ო. ჟირმუნსკაია, გერმანელი პროზაიკოსი კლაუს გერიში, ყირგიზი პოეტი ო. სულთანოვი, უკრაინელი პოეტი ვ. კორეტჩი., პოეტი ჯ. ჩარკვიანი.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ნ. დუმბაძემ გულითადი მადლობა გადაუხადა მახარაძელებს გულთბილი მასპინძლობისათვის და აღნიშნა, რომ ამ შეხვედრებს შესანიშნავი შედეგები მოყვება — შეიქმნება ბევრი ახალი ნაწარმოები, დაიწერება ბევრი ახალი ლექსი.

ლიტერატურულ საღამოს დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჩერქეზიშვილი.

ცხინვალი, 22 ივნისი, (საქინფორმის სპეც. კორ. ი. გორელოვი). ცხინვალში საბჭოთა ლიტერატურის მონაწილეთა ყოფნა დაემთხვა რაიონის მშრომელთა ცხოვრების ღირსშესანიშნავ მოვლენას: ადგილობრივმა მეჩაიეებმა საშობლოს უპატაკეს ხუთწლიანი გეგმის შესრულება.

სტუმრები იყვნენ სოფელ ფოცხოს ჭირვის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც თვალნათლივ დარწმუნდნენ, რაოდენ ამაღლებული და კეთილშობილურია მეჩაიეთა შრომა.

ცხაკაიაში ყოფნის უკანასკნელი საათები ლიტერატორებმა სახალხო თეატრში გაატარეს. აქ ვაიმართა პოეზიის საღამო. ხალხით გაჭედილ დარბაზში სულგანაბული ისმენდა მ. მაქსიმოვისა და რ. ჯაფარიძის, ი. გრიბნერგისა და ლ. სულაბერიძის, პოლონელი დრამატურგის ა. ვიჭინსკისა და დ. კოსტიერინის, რ. მარგიანისა და ვ. პუსნაჩევის, ვ. გორგანელისა და ი. კოზაევის შთაგონებულ სტრიქონებს.

გეგეჭკორი, (საქინფორმის სპეც. კორ.). რამდენი კეთილშობილური და ამაღელვებელი ლექსი მოისმინეს ამ დღეს გეგეჭკორის მშრომელებმა! ეს საკსებით გასაგებია, რადგან მათთან სტუმრად ჩამოვიდნენ თვალსაჩინო საბჭოთა პოეტები და მწერლები, უცხოელი ლიტერატორები.

დარბაზი გულთბილად ხვდებოდა პოეტებს, რომლებიც ზედიზედ ადიოდნენ ტრიბუნაზე. ლექსები წაიკითხეს მ. მაქსიმოვმა და კ. კალაძემ, ვ. პუსნაჩევმა და რ. მარგიანმა, სულ ახალგაზრდა პოეტმა დ. კოსტიერინმა და ვ. გორგანელმა, ლ. სულაბერიძემ, გ. აბაშიძემ...

რაიონის მშრომელებთან შეხვედრით შთაგონებულმა ლიტერატორებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ამ მხარის ისტორიისადმი, მისი ღირსშესანიშნავი ადგილებისა და რაიონის მშრომელთა წარმატებებისადმი, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საქართველოს მშრომელთა საერთო მიღწევებში.

სურათებზე: ზემოთ — საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილეები გვირგვინით ამკობენ უცნობი ჯარისკაცის საფლავს გამარჯვების პარკში; ქვემოთ მარცხნიდან — პოეტი ივანე შოსტალოვი ლექსებს უკითხავს ქ. ქობულეთის მშრომელებს; მწერლები და პოეტები ესაუბრებიან სოფელ ბობოყვათის (ქობულეთის რაიონი) კოლმეურნეობის მაჩიეებს.

ს. კილაძის („კომუნისტი“) და ნ. ანასტასიშვილის (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ლაპარაკობენ „საბჭოთა ლიტერატურის დღეების“ მონაწილენი

მეგობრობის გზებზე

ე. დოლმატოვსკი

ჩემთვის შეხვედრები ქართველ მწერლებთან, საქართველოს მშრომელებთან, საქართველოს მშრომელებთან მუდამ სილამაზის მომტანია. ეს შეხვედრები მუდამ კეთილ გავლენას ახდენს პოეტებზე, მაგრამ სამართლე უნდა ვთქვა, რომ ამჯერად შეხვედრა ქართველ პოეტებთან პრაქტიკულ ხასიათს ატარებს. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი შემოქმედებითი საიდუმლოა. ქართული პოეზია ლექსის სკოლაა, თავისებური პოეტური ჭედურობა. მე ადრე დავუშეგობრდი ქართულ პოეზიას, ქართველ პოეტებს. ეს იყო ომამდე, დაახლოებით 38 წლის წინათ. მაშინ პირველად შევხვდი ახალგაზრდა პოეტებს, რომლებთან ერთად ვმუშაობდი წიგნზე. ამ წიგნს ასეც ერქვა — „ახალგაზრდა ქართველი პოეტები“.

როცა სტიყვა ახალგაზრდას ვამბობ, ახლა უკვე მეღიმება, რადგან ესენი იყვნენ ირ. აბაშიძე, გრ. აბაშიძე, ა. გომიაშვილი, კ. კალაძე. მე, როგორც ბევრმა საბჭოთა პოეტმა, პოეზიის არაერთი სამეგობრო ქართველი პოეტებისაგან ვისწავლეთ და მაქვს �devaci ერთი პოემა, რომელშიც ჩვეულებისდაგვარად ქართველი პოეტების მიერ დანახული სამყარო აისახა.

ნაზი კილასონია

ბედნიერება მერგო წილად, — ვყოფილიყავ საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილე აქ, საქართველოში. ჯგუფი, რომელშიც მოვხვდი, მეტად საინტერესო მარშრუტით გაემგზავრა: ზუგდიდი, ენგურჰესი, კოხორის მეურნეობა, ინგირის ჩაის ფაბრიკა... რომელი ერთი ჩამოვთვალო, რომელ ერთზე მოგახსენოთ! ეს იყო ნამდვილი ზეიმი, არა მარტო ლიტერატურისა, არამედ შრომისაც, ენთუზიაზმისაც. ჩვენი მწერლობის წარმომადგენლები, სტუმრები რუმინეთის სახალხო რესპუბლიკიდან შრომის დიდმა რიტმმა დაგვამეგობრა: ჩვენ ვნახეთ ადამიანები, რომელთა მარჯვენა ღირსია მაღალი ლექსისა. მათ წინაშე კვლავ და კვლავ ვალში ვართ.

...ეს წუთია თბილისში ჩამოვედი, — თქვა კონსტანტინე სიმონოვმა, — და ჯერ არ გამნელებია ის შთაბეჭდილებები, რომლებიც დასავლეთ საქართველოდან მომყვება, უნდა აღვნიშნო, რომ საბჭოთა ლიტერატურის დღეები ტრადიციად იქცა და წლიდან წლამდე მისი ორგანიზაციამწყობაც ახალ-ახალ ფორმებს იძენს. ეს სასიამოვნოა, სასიამოვნოა იმდენად, რამდენადაც სასარგებლოა მწერლებისთვისაც და მშრომელთათვისაც ანუ ჩვენი მომავალი წიგნების გმირებისთვის. მათთან სიახლოვე შემოქმედებაში სინამდვილად იქცევა, ჩვენს სიტყვას, წიგნს, კალამს დაანახოებს ცხოვრებასთან, სიმართლესთან, რომელსაც მკითხველი ყველაზე მეტად ეძებს და თუ ჰპოვა, არასდროს დაივიწყებს. სიმართლე... საერთოდ ეს ცნება ლიტერატურის დაუშრეტელი წყაროა, სიმართლე ამოძრავებს ცხოვრებას და იქ, სადაც არ არის სიმართლე, წინსვლაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ლიტერატურა ცხოვრების სარკეა და იგივე შეიძლება ითქვას მასზე. წიგნში თუ სიმართლე არ არის, ის ძნელად რომ წიგნად იწოდებოდეს. მაგრამ დავუბრუნდეთ საბჭოთა ლიტერატურის დღეებს, რომელიც დასავლეთ საქართველოში დაიწყო და თბილისში აქვს საბოლოო, დასკვნითი აკორდი.

ცხოვრების მხარდამჭერ

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ახალი წარმატებებისათვის!

სტუმართა სტრიქონები

ეროვნული მიგზავნილობა

მისეულ სიზულნიკოვთან

ქგნიკ ბარტო

მოსკოვი

ნინა — ყოლოლებინა

რომ გარითმოს სიტყვა „ნინა“,
რითმას ეძებს ცათა შინა
ნორჩზე ნორჩი მგოსანი:
„ნინა — ნინა —
ჩემო ნინა,
ნინა — ყოლომბინა!“

ჯერ ვერ მისწვდა ნამდვილ
რითმას,

რაც ვერ ნახა,
უნდა ითქვას!
„ნინა — რკინა“,
„ნინა — ბინა,
„ქინაქინა“,
„დისციპლინა“.

იპოვა და ვერ იპოვა,
გულს კი მაინც არ იტეხს,
ერთი სიტყვა, სიტყვა „ნინა“
ჰეი, რას არ დაიტევს?!

რა არ ძებნა, რა არ ითქვა,
ბოლოს მაინც
ნახა რითმა.

ერითმება თურმე ნინას,
ყვავილმა რომ ჩაიცინა,
ტოროლამ რომ დაისტვინა,
წყაროსავით ხმაბიბინა,
ბულბულივით პაწაწინა,
ის რაც სტვენს და
ის რაც ბრწყინავს
მზე იის და ვარდის წინა!

და პატარა მგოსანს გულით
ლექსი, როგორც სიხარული,
მიაქვს გულის რჩეულთან,
მაგრამ დახეთ ერთი ნინას

როგორ გაჭირვეულდა.
— ლექსი?
მიყვარს ლექსის კითხვა
უსაქმური როცა ვარ,
არ მცალია,
სხვა დროს მოდი,
თუნდაც მოსალოცავად!

თქვა და თითქოს გაჰყვა ნიავს
არც აცხელა, **არც აცივა, —**
მგოსანს ზურგი შეაქცია...

მიატოვა ბიჭი მარტო
და თან კატას გაჰკრა ფეხი,
ყვავილებით სავსე პლატო
გადათელა კისრისტეხით.

აი, ასე ილეწება
ქვეყნად წმინდა რაც არი, —
ოცნება და სილამაზე,
თქმულება და ზღაპარი.

შინ ბრუნდება შემომქმედი,
ნორჩზე ნორჩი მგოსანი, —
აღარ დასწერს სულაც ლექსებს
რითმის ფრიადოსანი.

გზა-გზა მისდა უნებურად
მაინც რითმავს სიტყვას „ნინა“:
„ნინა — ნინა,
ჩემო ნინა,
ნინა — ყოლომბინა!“

თარგმანი მ. ფოცხიშვილისა.

□

ვიტალი კოროტიჩი

უკრაინა

* * *

როცა ხატაზე ვლაპარაკობ, ფანჯრებსაც ვხატავ,
წარმომიდგება ღუმელი და ღუმელზე კატა.
როცა მიწაზე ვლაპარაკობ, მე ვფიქრობ გზებზე,
ჩემს თვალუწვდენელ მინდვრებსა და ბალახებს
ვეძებ.
როცა ფოთოლზე ვლაპარაკობ, ტყე მოდის
ნაძვთა,
ვამბობ მზეზე და მეუფლება მაისის განცდა.
ჭეშმარიტებავ, როცა შენზე მიდგება ჯერი,
მე ვფიქრობ, ცაზე მაღალია ამ სიტყვის ჭერი.
მე ვლაპარაკობ სინათლეზე, ნათდება ბნელი,
ბოლო სინდისზე საუბარი ყოფილა ძნელი...
მე ვმარგლავ ჩემს კვალს, რაც დავთესე და
რაც მოვიდა
და მე მოვდივარ მწერლობიდან, როგორც
ომიდან,
ჩემს თავს თვალებში რომ შევხედო უფლებას
ვაძლევ
ჩემსავე თვალებს, რადგან გულში ღალატი არ
ძევს.
როგორც სინდისი ისე მიმაქვს ამბავი ხალხში,
მე გავახსენებ მერყევ სულებს წიხქვილის ღარში,
თქვენც დაიბრუნეთ წუთისოფლის ბორბალი
ძველი,
რადგან ხინდისზე საუბარი ყოფილა ძნელი.

თარგმანი ჯ. ჩარკვიანისა.

□

ევგენი ხრკოვი

რსფსრ

ვიგონებ თბილისს

ბაზარს, შუადღისას, აღმოხდა ბგერა
ბინდი მტკვრის გაღმიდან მხედრულად
მზეურავს:
ლურჯი გორგასალი, მარადი ცხენით,
მომიხმობს, მასწავლის — მახსოვდეს
თქვენი!
ყოველი, ყველაფერი, იმგვარ, ვით წინათ,—
მწკრივად შენაფერი ჭადრები
ბრწყინავს.
ჭადრებთან ვაკეები ხმაურით, ქარით.
მეც მათში ჩავჯდები პოეტურ ქნარით.
რეკავს სოლოლაკით წანწკარა ზარი:
„ეს მე ვარ ქალაქი. ეს მე ვარ წყნარი!“
„მხოლოდ მე!“ — ბრძანებენ ხიონის ქვანი.
„მხოლოდ მე!“ — ჩამესმის ყოველთა თქმანი.
„ეს მე ვარ!“ — ნაბიჯით მაუწყვებს
მუშა,
რა მძლავრი, რა დინჯი მაჯები უჭირს!
იცხოვრე, მიაგენ ამგვარად
სწორედ.
ამგვარად იგებენ ყოველგვარ ბრძოლებს.
ჩანჩქერი აქ არი მძლე, არა მკრთალი,
პოეტო! თბილისშიც ითვლე თავი!

თარგმანი ნაზი კილასონიასი.

□

ქრამაის საქაქიანი

სომხეთი

მრთი შბრალიო სიმღერა დედას

ჩემს სიხარულში
სიცოცხლეს აქსოვ,
ჩემთვის სულდგმულობ ოდით,
დარდი არ იცი,
რაც თავი მახსოვს,
შენ ჩემი დარდით თრთოდი.

პური და წყალი,
სითბო, მშვიდობა
და უკვდავება სრული, —
სუყველაფერი ჩემთვის გინდოდა,
ჩემთვის გიძგერდა გული.

რაა ცხოვრება,
წუთი თუ წამი,
ისიც ჟამთასვლას ერთვის,
მითხარი, დედა,
ოდესმე მაინც
თუ გიცხოვრია შენთვის?!

თარგმანი მ. ფოცხიშვილისა.

ბორის ბოკოვი

მოსკოვი

მოგონება კავკასიაზე

ღრუბლების ყაბალახები
შვეოდათ კლდეებს, ჩინარებს
და სახედარი ტაატით
მიბაკუნობდა შარაზე.
იდგა ნესვების სურნელი
და დილა შუქმომფინარე.
გულრიფშის მთაზე — სოფელში
ვისხილე სხვა სილამაზე.

თვლემამომგვრელი სიზანტით
ძერწავდნენ თვისი საჭრელით
ზღვა და მეგრელი — დროული —
მარადის საქმით გართული.
ცა მკრთალდებოდა,
თუმცაღა
არ აჩნდა თეთრი სარტყელი,
სიოთი თრთოდნენ მურყნების
ფოთლები ნაზი ფათქუნით.

მოჩანდა ყავრის ჭრილებში
მტევანი — მზით დახატული.
მწიფდა ყურძენი,
თაფლივით
მოწანწკარებდა ღვინოდა.

ხევებში თვლემდნენ ათას წელს
ქარტეხილები ქართული,
დრო ხარებშებმულ ურმებით
ფრიალით მიზოზინობდა.
შავი ქვები კი ზღვის პირას
მონოზნებივით მლოცველნი
თითქოსდა მზერას აპყრობდნენ
აღსავლისაკენ მუდარით.
გრილოდა მარნის სიგრილით
და ღვინო იდგა ბოცებით
და კავკასია — მარადის
სიცოცხლის ნავსაყუდარი.

თარგმანი ბ. აბულაშვილისა.

ანა ბარტო

ბებერ ბაბუებს

ბებერ ბაბუებს
ბებერ ბებიებს
ბებერ ბებიებს
ბებერ ბაბუებს
ბებერ ბებიებს
ბებერ ბაბუებს
ბებერ ბაბუებს
ბებერ ბები

ᲓᲦᲔᲡᲘᲡ ᲓᲦᲔᲛᲔ

23 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲛᲬᲘᲡᲘ ᲓᲦᲔᲡᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲖᲛᲘᲗ

ᲒᲐᲣᲠᲜᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, (საკᲓᲚᲘᲡᲘ). მე ᲗᲕᲘᲠᲛᲘᲗ, რომ კოსმოსური ᲑᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡᲗᲘᲡ „ᲡᲞᲝᲣᲜᲘᲡᲘᲡ“ და „ᲐᲞᲝᲚᲚᲝᲜᲘᲡ“ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲓᲔᲑᲐ. ᲒᲐᲜᲘᲪᲐᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲝᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲠᲛᲐᲜᲘ Ბ. ᲜᲘᲙᲝᲜᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲓᲐᲒᲠᲣᲛᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲠᲛᲐᲜᲘ